

1. პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე- შედუღება / Welding

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა / სარეგისტრაციო ნომერი - შედუღება / Welding/ 07310-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში / Basic Vocational Qualification in Welding

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მექანიკა და ლითონის საქმე - კოდი 0715.

4. პროგრამის მიზანი - პროგრამის მიზანია მესამე დონის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადება შედუღებაში, რომლებიც იქნებიან კონკურენტუნარიანი როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

5. დაშვების წინაპირობები

- საბაზო განათლება;
- „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

შედუღების საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ისეთ პროფესიებზე, როგორცაა: შემდუღებლები და აირმჭრელები, რომლებიც ადუღებენ და ჭრის ლითონის ნაწილებს აირის სანთურის, ელექტრორკალური ან სხვა გამაცხელებელი საშუალებების გამოყენებით, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა და სფეროში. პირს შეუძლია იყოს თვითდასაქმებული.

7. სტრუქტურა და მოდულები :

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედულებაში მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 6 კრედიტის რაოდენობით. 9 პროფესიულ მოდულს ჯამური 32 კრედიტის რაოდენობით. შედულებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 38 კრედიტი.

მოდულის, „ქართული ენა A2“ (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსული, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე) შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება „ქართული ენა A2“ მოდულით. შესაბამისად, კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება 53 კრედიტი.

| საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის - ზოგადი მოდულები | | კრედიტი |
|--|--|----------------|
| 1 | მეწარმეობა 1 | 2 |
| 2 | უცხოური ენა (ინგლისური ენა) | 4 |
| ჯამი: | | 6 |
| რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით ჩარიცხულ პირთათვის | | კრედიტი |
| | ქართული ენა A2 | 15 |
| ჯამი: | | 15 |
| საერთო პროფესიული მოდულები | | კრედიტი |
| 1 | ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე | 4 |
| | შედულების მასალები და მათი მახასიათებლები | 4 |

| | | |
|--------------|---|-----------|
| 2 | | |
| 3 | დარგობრივი კომუნიკაცია | 4 |
| 4 | ლითონის თერმული დამუშავება | 4 |
| 5 | შესადულებელი მასალების ტექნიკური მონაცემების გამოყენება-დოკუმენტირება | 4 |
| 6 | შედულების პროცესის მასალების მომზადება | 4 |
| 7 | ლითონების შედულება ინერტული (MIG) და აქტიური (MAG) აირის გარემოში | 4 |
| 8 | შედულება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში | 2 |
| 10 | მშრალი შედულება | 2 |
| ჯამი: | | 32 |

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეადულოს ლითონის ნაწილები აირის სანთურით, ელექტრორკალით, თერმული ნაერთებით ან სხვა მეთოდებით
2. გამოიყენოს სარჩილავი ტყვიის შემცველი ნაკეთობების (მილების, ზედაპირების და სხვა) შესაკეთებლად
3. შეაერთოს ლითონის ნაწილები მყარი კომპონენტით
4. დაჭრას ლითონი აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით
5. შეაერთოს ლითონის ნაწილები ხელის სარჩილავით, რბილი კომპონენტით
6. შეარჩიოს თერმული მომზადების, მორგების, შედულების პროცესის რეჟიმი მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გაფართოების აცილების მიზნით

7. დაადგინოს დეფექტები და წუნები

8. შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების სიზუსტე სპეციფიკაციით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე.

9. პროგრამის ხანგრძლივობა:

სწავლების ხანგრძლივობა 7 სასწავლო თვე (28 სასწავლო კვირა).

თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით ჩაირიცხა პირი, მან სავალდებულოდ უნდა დაიწყოს სწავლა „ქართული ენა A2“ მოდულით, რომლის სწავლება ხორციელდება 3 თვის მანძილზე, შესაბამისად, მათთვის სწავლის ხანგრძლივობა იზრდება 3 სასწავლო თვით-(10 თვე)